

ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვა

ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი საწყისი სამუშაო შეხვედრა

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის კვირეული - საწყისი სამუშაო
შეხვედრა 1 დღე (8 დეკემბერი 2021)

დღის წესრიგი

| | | |
|-------|---|---|
| 9:30 | რეგისტრაცია/ COVID პროცედურები შესასვლელში (COVID პროცედურები შესვლის წინ) მისასალმებელი ყავა | |
| 11:00 | მისასალმებელი სიტყვა | გიორგი შუხოშვილი (საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორი) მზია გიორგობიანი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მინისტრის მოადგილე) ზვიად შალამბერიძე (სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში) ბერნდ ჰასელი (KfW - გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი) |
| 11:30 | პროექტის ისტორია და დამხმარე ღონისძიებების ადგილმდებარეობის შერჩევის პროცესი კონსულტანტი | |
| 12:00 | პროექტის კომპონენტები და ძირითადი ეტაპები განმახორციელებელი კონსულტანტი | |
| 12:30 | პროექტის რისკები და რისკის შემცირება განმახორციელებელი კონსულტანტი | |
| 13:00 | საზოგადოებრივი საინვესტიციო განმახორციელებელი კონსულტანტი პროგრამა | |
| 13:30 | ლანჩის შესვენება | |
| 14:30 | გარემოსდაცვითი და სოციალური განმახორციელებელი კონსულტანტი ასპექტები | |
| 15:00 | აჭარის მყარი ნარჩენების მართვის ნოდარ კონცელიძე (აჭარის მყარი კომპანიის გამოცდილება/გავლილი ნარჩენების მართვის კომპანიის გაკვეთილები დირექტორი) | |
| 15:30 | კომუნიკაციის სტრატეგია განმახორციელებელი კონსულტანტი | |

ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვა

| | | |
|-------|---|---|
| 16:00 | დაინტერესებული მხარეების ჩართულობა | განმახორციელებელი კონსულტანტი |
| 16:30 | მონიტორინგის კომიტეტი | განმახორციელებელი კონსულტანტი |
| 17:00 | საზოგადოებრივი საინვესტიციო პროცედურის დეტალები | განმახორციელებელი კონსულტანტი |
| 17:30 | სკოპინგის პროცედურა | განმახორციელებელი კონსულტანტი |
| 18:00 | დახურვა და შემდეგი ნაბიჯები | საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია |

ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვა

მონაწილეები:

პირველი დღის მონაწილეები იყვნენ სახელმწიფო სტრუქტურების/სამინისტროების (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო), რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო ორგანიზაციების და დონორის წარმომადგენლები (ევრო კავშირი (EU) და KfW - გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი). პირველი დღის მონაწილეების სია მოცემულია დანართ 1-ში.

აქტივობები:

შეხვედრის გახსნა:

პირველი დღე გახსნეს ბატონმა გიორგი შუხოშვილმა (საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორი), ქალბატონმა მზია გიორგობიანმა (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მინისტრის მოადგილე), ბატონმა ზვიად შალამბერიძემ (სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში) და ბატონმა ბერნდ ჰასელმა (KfW - გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი). ყველა მომხსენებლის მთავარი მესიჯი იყო დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აცულებლობაზე და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობაზე, როგორც წარმატების მთავარ ფაქტორს რეგიონისთვის მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში.

პროექტის ისტორია და ადგილმდებარეობის შერჩევა:

ბატონმა რენე ბოესტენ, დამხმარე ღონისძიებების კონსულტანტების ჯგუფის ლიდერმა (უფროსმა), წარმოადგინა (გააცნო) პროექტის ისტორია და ადგილმდებარეობის შერჩევის დეტალური პროცესი, რითიც გადაწყდა მუხიანის ადგილმდებარეობის არჩევა, როგორც სასურველი ადგილი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის განსათავსებლად. ადგილმდებარეობის შერჩევა განხორციელდა რუკაზე გამორიცხვის მეთოდით გამოყენების პრინციპით, სადაც ყველა ტერიტორია, რომელიც არ აკმაყოფილებდა მინიმალურ გარემოსდაცვით, სოციალურ და ტექნიკურ კრიტერიუმებს, გამორიცხა და თავდაპირველად გამოიკვეთა 19 შესაძლო ადგილმდებარეობა; აღნიშნული კრიტერიუმებით შედგა მოკლე სია, ორი შესაძლო ადგილმდებარეობით, ერთი აჯამეთი და მეორე მუხიანი. ორივე ადგილმდებარეობის მახლობლად მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებულები იყვნენ ადგილის შერჩევის პროცესის შესახებ, კონსულტაციები გაიარეს ფოკუს ჯგუფების შეხვედრების მეშვეობით და საბოლოოდ მონაწილეობა მიიღეს როგორც არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის ადგილმდებარეობის შერჩევის კომიტეტის წევრებმა. საბოლოოდ ორივე ადგილმდებარეობის შეფასება განხორციელდა არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის ადგილმდებარეობის შერჩევის კომიტეტის მიდგომების გამოყენებით და მუხიანის ადგილმდებარეობა გამოვლინდა სასურველ ადგილად.

ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვა

ადგილდებარეობის შერჩევის პროცესის დროს დაფიქსირდა, რომ ზოგიერთი თემის წევრმა უარი თქვა პროექტის შესახებ მეტის ცოდნაზე, ასევე უარი თქვა შეხვედრებისა და ფოკუს ჯგუფებში ჩართულობაზე. მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერები ამადლება პროექტის დეტალების შესახებ, რადგან ხელი შეეწყოს ადგილობრივი მოსახლეობის უფრო მეტ აქტიურ მონაწილეობას პროექტის შემდეგ ეტაპებზე.

პროექტის კომპონენტები და ძირითადი ეტაპები

ბატონმა მატეას სქოენმატმა, განმახორციელებელი კონსულტანტის ჯგუფის ხელმძღვანელმა, წარმოგვიდგინა პროექტის კომპონენტები და ძირითადი ეტაპები. განმახორციელებელი კონსულტანტის სახით წარმოდგენილია სიდიემ სმიტ ევროპა (CDM Smith Europe), გამოცდილი გერმანელი ნარჩენების მართვის კონსულტანტი, რომელსაც მხარს უჭერს ქართული საინჟინრო კონსულტანტი სონდერს ჯგუფი და საქართველოს გარემოსდაცვით საკონსულტაციო კომპანია (GEO). განმახორციელებელი კონსულტანტი პასუხისმგებელია პროექტის დიზაინზე, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე (გზშ), სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებაზე, მშენებლობის ზედამხედველობაზე და პროექტის მხარდაჭერაზე, ფუნქციონირების ფაზაში, პირველი თვეების განმავლობაში. პროექტის ძირითადი კომპონენტები მოიცავს:

- ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (პირველი უჯრედის მოწყობა) მშენებლობა და ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის/ტექნიკის უზრუნველყოფა;
- 6 (ექვსი) გადამტვირთავი სადგურის მშენებლობა;
- მუნიციპალიტეტებისთვის ნარჩენების შესაგროვებელი აღჭურვილობის მიწოდება ნარჩენების სათანადო შეგროვების უზრუნველსაყოფად;
- ქუთაისში (ნიკეა) არსებული ნაგავსაყრელის დახურვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის თანამშრომლების (პერსონალის) მხარდაჭერა დიზაინის, ტენდერის, ტენდერის ზედამხედველობის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ყველა ასპექტში;
- საზოგადოების საინვესტიციო ღონისძიებების განხორციელების მხარდაჭერა;

განმახორციელებელმა კონსულტანტმა მუშაობა დაიწყო 2021 წლის 8 სექტემბერს და ღონისძიებები (აქტივობები) უნდა დაამთავროს 2025 წლის 7 ნოემბერს.

პროექტის რისკები და რისკების თავიდან აცილება (შემსუბუქება)

რიკარდო ხოურიმ, განმახორციელებელი კონსულტანტის საერთაშორისო გარემოსდაცვითი და სოციალური ექსპერტი, წარმოადგინა პროექტის ძირითადი რისკები. პროექტის განხორციელების ძირითადი (მთავარი) რისკი დაკავშირებულია სოციალურ მიმდებლობასთან. პროექტის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია (კრიტიკულია) ადგილობრივი მოსახლეობის მჭირდო (აქტიური) ჩართულობა, დარწმუნდნენ რომ პროექტის ზუსტი და დროული ინფორმაცია ხელმისაწვდომია და ჩაერთონ მონიტორინგის კომიტეტში. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დარწმუნდეს, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის

ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვა

სამინისტროსთვის პრიორიტეტულია ინფრასტრუქტურული და სათემო პროექტები, ისევე როგორც რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობები. საზოგადოების საინვესტიციო პროგრამა უნდა გახდეს გადამწყვეტი ინსტრუმენტი სოციალური მიმდებლობის მოსაპოვებლად.

საზოგადოებრივი საინვესტიციო ღონისძიებები

ბატონმა ხოურიმ განმარტა ძირითადი ნაბიჯები ეფექტური საინვესტიციო პროგრამის განხორციელებაში. ესენია:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო/საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ, ისევე როგორც რეგიონულმა მთავრობამ უნდა შეიმუშაოს მკაფიო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი საზოგადოება, რომლებიც ცხოვრობენ ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს, ისარგებლებენ საზოგადოებისა და ინფრასტრუქტურის მხარდაჭერის ღონისძიებებით.
- უნდა შემუშავდეს საზოგადოებრივი საინვესტიციო ჩარჩო, რომელიც ადგენს გამჭვირვალე პროცედურებსა და კრიტერიუმებს საზოგადოების მხარდაჭერის ღონისძიებების იდენტიფიცირების, შერჩევისა და განხორციელებისთვის; საზოგადოებამ უნდა მიიღოს მონაწილეობა ასეთი სტრუქტურის დასრულებაში.
- საზოგადოებრივი საინვესტიციო გეგმა უნდა შემუშავდეს ჩარჩოში დადგენილ პროცედურებსა და კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მათ შორის, შერჩეული პროექტები მათ ვადებთან, ბიუჯეტებთან და დაფინანსების წყაროებთან ერთად.
- არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ საზოგადოებრივი საინვესტიციო გეგმის განხორციელებაში.
-

ადგილობრივი მოსახლეობა მონაწილეობას მიიღებს საზოგადოების საჭიროებების შეფასებაში ადგილობრივი საჭიროებების დასადგენად, როგორცაა ბიზნესის, აგრობიზნესის, განათლების (მაგ. სკოლის რეაბილიტაცია) და სოციალური პროექტების მხარდაჭერა (მაგ. სპორტული ობიექტები და პარკები). ამავდროულად, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს რეგიონულ და ადგილობრივ განვითარების გეგმებში გამოვლენილ უფრო დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ადგილობრივი მოსახლეობისთვის რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტთან სიახლოვეს.

დაინტეგრირებული მხარეების ჩართულობა და მონიტორინგის კომიტეტი

ბატონმა რიკარდო ხოურიმ, განმახორციელებელი კონსულტანტის საერთაშორისო გარემოსდაცვითი და სოციალური ექსპერტი, ქალბატონ ანანო ასათაინთან, კომუნიკაციის ადგილობრივი ექსპერტი, და ბატონ გიორგი შუბითიძესთან, ადგილობრივი სოციალური ექსპერტი, ერთად უფრო დეტალურად განმარტეს მიდგომა დაინტეგრირებული მხარეების ჩართულობისადმი. მიდგომა ეფუძნება „ინფორმირების-მოწვევის- ჩართულობის“ პოლიტიკას, რომლის დროსაც ადგილობრივი მოსახლეობა რეგულარულად და დროულად არიან ინფორმირებულები პროექტის ყველა დეტალის შესახებ და კონსულტაციას უწევენ სხვადასხვა საშუალებებით, როგორცაა ფოკუს ჯგუფის შეხვედრები, პროექტის ყველა

ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვა

ეტაპზე (სკოპინგი, გზშ, დიზაინი, მოსახლეობის მხარდაჭერის ღონისძიებების იდენტიფიცირება და განხორციელება, მშენებლობა, ექსპლუატაცია და დახურვის შემდგომი მოვლა) და პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა მონიტორინგის კომიტეტის მეშვეობით.

შემოთავაზებულია მონიტორინგის კომისიის შექმნა, რომელშიც შევლენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები. მონიტორინგის კომიტეტი წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებსა და საზრუნავს და რეგულარულად შეიკრიბება პროექტის მიმდინარეობისა და მოსახლეობისთვის საინტერესო საკითხების განსახილველად (გარემოს დაცვის ღონისძიებები, მოსახლეობის მხარდაჭერის ღონისძიებები).

შემდეგი ნაბიჯები

პროექტი ამჟამად არის კონცეპტუალური დიზაინის ეტაპზე და სკოპინგის პროცედურა დაწყებულია. განმახორციელებელი კონსულტანტი სკოპინგის ანგარიშის დრაფტს წარუდგენს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას 2022 წლის იანვრის თვის დასაწყისში და შემდგომში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა განხორციელდება სკოპინგის არანგარიშის განსახილველად, შეაგროვებს ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებს (დამოკიდებულებებს) და გააგრძელებს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების იდენტიფიცირებას (განსაზღვრას) ადგილობრივი მოსახლეობის საინვესტიციო გეგმის შემუშავებისთვის.

დისკუსიები, კითხვები და პასუხები

მთელი დღის განმავლობაში მონაწილეებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები და დასვეს კითხვები. ძირითადი დისკუსიები წადმოდგენილია აქ.

- ბატონი გიორგი შუბითიძემ, განმახორციელებელი კონსულტანტის ადგილობრივი სოციალური ექსპერტი, მოინახულა ტერიტორია სამუშაო შეხვედრის (ვორქშოპის) დაწყებამდე და ხაზი გაუსვა საინვესტიციო პროექტების მნიშვნელობას ადგილობრივი მოსახლეობისთვის სარგებლის მისაღებად;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ მოსახლეობა უნდა იყოს ინფორმირებული გარემოზე ზემოქმედებისა და კონტროლის ღონისძიებების შესახებ, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ტექნიკური გადაწყვეტილებები, სოციალური ზემოქმედება და კომპენსაციის ზომები; პროექტის განხორციელება შეუფერხებლად მიმდინარეობს, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა არიან ინფორმირებულნი და პროექტში მონაწილეობენ (ჩართულები არიან პროექტში);
- ბატონი აკაკი ფანჭულიძე არასამთავრობო როგანიზაცია მწვანეთა მოძრაობიდან:
 - o ნდობის ნაკლებობა არის სოციალური მიღების მთავარი დაბრკოლება;
 - o ადგილობრივ მოსახლეობას კარგი ტექნოლოგიითაც კი ეჭვი ეპარებათ (არ ენდობიან);
 - o ადგილობრივ მოსახლეობას არ აქვთ გამოცდილება მსგავს სახის პროექტებში: ცვლილებებს შიში და ასევე შიში იმისა, რომ

ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვა

- აღნიშნულმა პროექტმა შეიძლება გამოიწვიოს ისეთვე ზემოქმედება, როგორც არსებულმა ნიკეას პროექტმა;
- სოციალური ბენეფიტები (შელავათები/პრივილეგიები) მნიშვნელოვანია სოციალური მიღებისთვის: სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი ინვესტიციები; კონკრეტული ღონისძიებები უნდა გამოვლინდეს და განიხილონ ადგილობრივ მოსახელობასთან;
 - მნიშვნელოვანია ადგილობრივი თემების (მოსახელობის) ნდობის მოპოვება და მათ უნდა აუხსნან არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის და კარგი მენეჯმენტის სისტემის ყველა პრინციპი;
 - საგანმანათლებლო ელემენტები ძალიან მნიშვნელოვანია;
 - მნიშვნელოვანია რომ კარგად აუხსნან რატომ არის მუხიანი კარგი ადგილმდებარეობა (ლოკაცია) და ადგილობრივი მოსახელობა უნდა გაერთიანდეს;
- ქალბატონი ნინო ჩხოვაძე არასამთავრობო ორგანიზაცია მწვანეთა მოძრაობიდან:
- საჭიროა მოსახეობის ინვესტირების კარგი გეგმის შემუშავება;
 - მნიშვნელოვანია ადგილობრივ მოსახელობასთან გავუზიაროთ სხვა პროექტებიდან მიღებული გამოცდილება;
 - სხვა მნიშვნელოვან პროექტებთან დაკავშირებული პრობლემები მოიცავდა ცუდ მენეჯმენტსა და მმართველობას;
 - შეცდომების აღიარება ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას;
 - მონიტორინგის კომიტეტი ძალიან მნიშვნელოვანია ნდობისა და ძლიერი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად;
 - ფრთხილად უნდა იყოს საზოგადოების მოლოდინების მართვასთან და დაპირებებთან, რიმელებიც ვერ განხორციელდება;
 - აუცილებელია ადგილობრივი მოსახელობისათვის კარგი მაგალითის ჩვენება (წარდგენა);
 - მუხიანის პროექტისთვის შემოთავაზებული ტერიტორია (ლოკაცია) არ არის გარშემოტყმული მხოლოდ დაუცველი (მოწყვლადი) ადამიანებით, არამედ საშუალო კლასის ბიზნესმენებით, რომლებსაც უნდათ (სურთ) თავიანთი ინტერესების დაცვა;
 - გამოცდილებიდან მიღებული გაკვეთილები (გამოცდილება) არის მნიშვნელოვანი: საჭიროა მუდმივი კომუნიკაციის დამყარება

ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვა

- ადგილობრივ მოსახელობასთან და მოსახელობის ყველა სოციალურ ფენასთან; ადგილობრივმა მოსახელობამ უნდა იცოდეს, რომ ამ
- ადგილდემბარეობას (ლოკაციას) ალტერნატივა არ აქვს; დადგება ეკოლოგიური კატასტროფა თუპროექტი არ განხორციელდებადროულად და დაიხურება არსებულინაგავსაყრელელები რადგან მათი რესურსები თითქმის ამოწურულია; მოსახელობამ უნდა გაიგოს (გაიაზროს), რომ ცუდიდა სახიფათო (საშიში) სიტუაციაა, თუ სასწრაფოდარ გაუმჯობესდა ნარჩენების მართვა; ადგილობრივმა
 - მოსახელობამ უნდა მიიღოს დეტალური ახსნა თუ რატომ გადაწყდა აღნიშნული ადგილდემბარეობა, რათა თავიდან ავირიდოთ პროტესტი; სოციალური კვლევები მნიშვნელოვანია საოგადოების (მოსახელობის)
 - ფონის (ცნობიერების) გასაგებად და ამ საზოგადოების ჩართულობის საუკეთესო სტრატეგიის გამოსავლენად; კარგი შედეგი მიიღება მოსახელობასთან მჭიდრო და მუდმივი
 - თანამშრომლობით.
- ბატონმა გიორგი შუხოშვილმა, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორმა, დაადასტურა პროექტის განხორციელების ახალი მიდგომა, რომელიც გულისხმობს ადგილობრივი მოსახელობის მჭიდრო ჩართულობას და მონაწილეობას;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა რომ გააკეთებს ყველაფერს, რომ დაარეგისტრიროს ადგილობრივი მოსახელობის საკითხებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურების მიხედვით სკოპინგის ეტაპზე (ფაზაში); მან ასევე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რა სოციალური პროექტები განხორციელდება;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა ასევე დაადასტურა, რომ სკოპინგის საჯარო გაცნობა/განხილვისამდე, უმჯობესია საზოგადოებას წინასწარ გააცნონ ინფორმაცია, რათა სკოპინგის განხილვისას დავრწმუნდნენ მონაწილეების მაღალ ჩართულობაში.
- ბატონმა ზვიად შალამბერიძემ, სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში, ხაზი გაუსვა სანდო პირების გამოვლენის მნიშვნელობას, რომლებიც შეიძლება იყვნენ კოორდინატორები; ასევე ხაზი გაუსვა იმას რომ არ არსებობს ამ ადგილდემბარეობის ალტერნატიული ვარიანტი; გამოსავალი უნდა მოიძებნოს ადგილობრივ მოსახელობასთან ერთად; ასევე მნიშვნელოვანია რომ ადგილობრივ მოსახელობას აჩვენონ თუ რას შეიძლება მიიღონ სანაცვლოდ.

ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვა

დანართი 1: პირველი დღის მონაწილეთა სია (ხელმოწერილი სია ქართულ ვერსიაში)

| ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი | | | |
|---|----------------------|--|--------------------|
| დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა - შეხვედრა სახელმწიფო უწყებებთან, დონორ ორგანიზაციებთან და რეგიონულ სამუშაო ჯგუფებთან | | | |
| 08.12.2021 | | | |
| # | სახელი და გვარი | ორგანიზაცია/თანამდებობა | ხელმოწერა |
| 1 | გიორგი შუხოშვილი | საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია (SWMCG) | |
| 2 | მზია გიორგობიანი | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე (MRDI) | |
| 3 | ზვიად შალამბერიძე | სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში | |
| 4 | ლევან ციციშვილი | გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW) | |
| 5 | ალექსანდრე დარასი | ევროპის კავშირის დელეგაცია საქართველოში (EU) | |
| 6 | ვახტანგ ბარამია | საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია (SWMCG) | |
| 7 | გიორგი ჩხეიძე | საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია (SWMCG) | |
| 8 | თორნიკე ისაკაძე | საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია (SWMCG) | |
| 9 | მედეა ჩაჩხიანი | საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია (SWMCG) | |
| 10 | მარიკა თოდრია | საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია (SWMCG) | |
| 11 | მამუკა ჯინჭარაძე | საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია (SWMCG) | |
| 12 | თამარ ძიმისტარიშვილი | საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია (SWMCG) | |
| 13 | ნათია ბანძელაძე | საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია (SWMCG) | |
| 14 | დავით ტყაბლაძე | იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის ოფისი | |
| 15 | ნოდარ კონცელიძე | შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“ | |
| 16 | არჩილ ტყაბლაძე | ეკოლოგიისა და მყარი ნარჩენების განყოფილების უფროსი | |
| 17 | იოსებ ხახალეიშვილი | ქუთაისის მერი | |
| 18 | გენადი ბალანჩივაძე | წყალტუბოს მერი | |
| 19 | ქეთევან ცხხაკაია | სპექტრი | |
| 20 | ნინო ჩხოზაძე | საქართველოს მოძრაობა/დედამიწის საქართველო | მწვანეთა მეგობრები |
| 21 | აკაკი ფანჩულიძე | საქართველოს მოძრაობა/დედამიწის საქართველო | მწვანეთა მეგობრები |



ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვა

| | | | |
|----|-----------------------|--|--|
| 22 | არჩილ ბუკია | შპს „აგროზონა“ | |
| 23 | ლევან ლომინაძე | შპს „აგროზონა“ | |
| 24 | თეონა ქობულაძე | წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი | |
| 25 | ნინო თევზაძე | CENN | |
| 26 | ლევან ოზბეთელაშვილი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | |
| 27 | ქრისტინე ვარდანაშვილი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | |
| 28 | გიორგი შუბუთიძე | GEO | |
| 29 | ელდარ ცინცაძე | შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“ | |
| 30 | ალექსანდრე პერტაია | PEM | |
| 31 | ვლადიმერ შონია | JV CDM Smith/Saunders Group | |
| 32 | ნინო ჯინჭარაძე | Saunders Group | |
| 33 | თამარ მუმლაძე | Saunders Group | |
| 34 | ზურაბ ზანდარაშვილი | Saunders Group | |